



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

ბრძანება № 2/165

15 მარტი 2016 წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის
მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი
დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“
51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის
მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის
გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების
პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:



1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში
მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების
მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის
ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტის მონაცემების კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების
განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან
ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში
(მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4)

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის
2016 წლის 15 ივნისის №2/165 ბრძანების დანართი №1

N	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		ჯვარპატიოსნის სახელობის ეკლესია	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბულაჩაური (ყოფილი სოფ. აბანოსხევი)	არქიტექტურ ის	VIII-IX სს.
2.		სამების სახელობის ეკლესია	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვი	არქიტექტურ ის	XVII ს. 70- 90-იანი წლები
3.		კიკოლაანთ საყდარი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ნიჩბისი	არქიტექტურ ის	X ს.
4		გუდაბერტყას ნამოსახლარი – გუდაბერტყა (გუდაბერტყია- ციხიაგორა)	გორის მუნიციპალიტეტი, ბერბუკის თემის საკრებულო, სოფ. სვენეთი; თბილისი-სენაკი- ლესელიძის ავტომაგისტრალი, 77-ე კმ. დანართი N2-ით დადგენილ საზღვრებში	არქეოლოგიუ რი	ადრეული ბრინჯაოს ხანა, ძვ.წ. XXXI - XXVI, გვიანბრინჯო ადრერკინის ხანა - ძვ.წ XII - VII სს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის
2016 წლის 15 ივნისის №2/165 ბრძანების

დანართი № 2

გუდაბერტყას ნამოსახლარი – გუდაბერტყა (გუდაბერტყია-ციხიაგორა) - ძეგლის
საზღვარი

